



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №183

2016 წლის 31 აგვისტო

ქ. მცხეთა

„უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის ფონდის“ მიერ გამოყოფილი გრანტის მიღებაზე თანხმობის მისაღებად საქართველოს მთავრობის წინაშე შუამდგომლობით მიმართვის მიზნით, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, მე-100 მუხლის მე-5 მე-7 ნაწილებისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 24 აგვისტოს №7086 მომართვის საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, „უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის ფონდის“ მიერ, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბასა და სოფელ აღდგომლიანთკარში, წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილი 65.547 (სამოცდახუთი ათას ხუთას ორმოცდაშვიდი) აშშ დოლარის ოდენობის გრანტის მიღებაზე თანხმობის მისაღებად, საქართველოს მთავრობის წინაშე შუამდგომლობით მიმართვისათვის.
2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. მცხეთა, სამხედროს ქ №17.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოღაშვილი